ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6147862

ნომერი: AR1924399

თარიღი : 22.09.2022

გაცემის თარიღი : 03.10.2022

გაცნობის თარიღი : 03.10.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კაპანაძე პ/ნ 01008035590
- ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორ. 26,ბინა 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 22 სექტემბრის №AR1924399 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 17 ივნისის №5989161 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 29 სექტემბრის №6143935 ბრძანებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, №17, №41, №77 და №113 ბინების ფართებში კვლავ ნაწილობრივ შეყვანილია კოლონების და სავენტილაციო შახტების (მათ შორის მისი კედლების) ფართობები. ასევე, დანარჩენ ბინების ფართებში კვლავ შეყვანილია სავენტილაციო შახტების კედლების ფართები. აღნიშნული ფართები დათვლილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, კოლონების და სავენტილაციო შახტების (მათ შორის შახტების კედლების) გარეშე.
განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საცხოვრებელ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას 2022 წლის 17 ივნისის №5989161 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები გასწორებული ფართობების დატანით, გეგმარების ცვლილების გარეშე..
ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 29 სექტემბრის №6143935 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 29 სექტემბერს, ხოლო განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 2022 წლის 30 სექტემბერს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 22 სექტემბრის №AR1924399 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.